19/03/2020

# ყველამ ერთად ვილოცოთ უფლის მიმართ!



**ყოველდღე, საღამოს, 22:00 დან 22:15 მდე, როდესაც ბუნება სიბნელეში ეფლობა და ჩუმდება, ჩვენ ამ დროს ღმერთთან საუბარს – ლოცვას ვუთმობთ. ყველა ერთად ვაერთიანებთ ჩვენსლოცვას, იმის განცდით, რომ ღმერთს არ დაუტოვებივართ, არამედ ჩვენ განვეშორეთ მას. დავუბრუნდეთ უფალს, როგორც მზრუნველ მამას, რომელიც ხელებგაშლილი გველის და ჩვენყველას ჩაიხუტებს.**

ამ რთულ პერიოდში, როდესაც პანდემია საფრთხე მოახლოვდა, მოწოდებულნი ვართ კვლავუფლისკენ შევბრუნდეთ და აღვადგინოთ კავშირი ჩვენი ცხოვრების წყაროსთან. მოვუწოდებთღვთის ხალხს სულიერი კავშირისკენ, რათა საერთო ლოცვის საშუალებით მივმართოთცხოველსმყოფელ უფალს იესო ქრისტეს, რადგან ასე ყველა ადამიანი ვხდებით ერთი სხეული, ერთობლივი ლოცვითა და ერთობლივი თხოვნით.